ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1360199

ნომერი: AR1229424

თარიღი : 16.06.2014

გაცემის თარიღი : 30.06.2014

გაცნობის თარიღი : 01.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არაყიშვილის II ჩიხი , N 1-3-5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ სიმონია პ/ნ 01010005129
- თბილისი დ.არაყიშვილის ქ. N 15 ბ. 2

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2014 წლის 22 მაისის #1284955 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ქ. თბილისში, არაყიშვილის
II ჩიხი, #1-3-5, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.11.042.059), მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, ხოლო თქვენი განაცხადი სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და საქმეზე ადმინისტრაციული
წარმოების განახლების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ამასთან გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ბრძანება სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე,
ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ # AR1216385 განაცხადის ნომერი.

თუ სამსახურის მიერ გამოცემული აღნიშნული აქტები გაყენებთ ზიანს შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში.

თუ აღნიშნული სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისი მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის მეშვეობით, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითებთ თქვენს დაინტერესებაში
მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge